მშრომელთა დეპუტატების ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 3 დეკემბერი, 1949 წ. № 238 (8541). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

საბჭოების მუდმივი კომისიები—მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეექვსე ტომი (1-ლი გვერდი).
ძირეული პროფორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები (მე-2 გვერდი).
გ. გრიგორიანი—მემარჯვენე სოციალისტები—ხალხის მტერნი.
ბისა და უფიფროების საქმის მოლალატენი (მე-2 გვერდი).
საზამთრო საძოვრებზე (მე-2 გვერდი).
ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გენერალური ასამბლეის 1949 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

საბჭოების მუდმივი კომისიები

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების წინაშე მეტად სერიოზული და პასუხსაგები ამოცანები დგას. იმისათვის, რომ ეს ამოცანები წარმატებით იქნას გადაწყვეტილი, საბჭოები მოვალენი არიან მუდმივად ზრუნავდნენ მასებში ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ამხანაგი სტალინი ჩვენი პარტიის XV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ საბჭოთა აპარატი „თავისი ტიპით მთელ მსოფლიოში არსებულ ყველა სახელმწიფო აპარატთან შედარებით, უმაღლეს სახელმწიფო აპარატს წარმოადგენს.

რაში მდგომარეობს ჩვენი სახელმწიფო აპარატის ძალა? იმაში, რომ იგი საბჭოების საშუალებით აკავშირებს ხელისუფლებას მუშებისა და გლეხების მრავალმილიონიან მასებთან. იმაში, რომ საბჭოები მართვა-გამგეობის სკოლაა ათეულ ათასობით მუშისა და გლეხისათვის. იმაში, რომ სახელმწიფო აპარატი კი არ ემიჯნება ხალხის მილიონიან მასებს, არამედ უერთდება მათ უამრავი მასობრივი ორგანიზაციების, ყოველგვარი კომისიების, სექციების, თათბირების, დელეგატთა კრებების და სხვათა საშუალებით, რომლებიც გარს არტყიან საბჭოებს და, ამრიგად განამტკიცებენ ხელისუფლების ორგანოებს“.

აქედან ნათელია, თუ რა დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მშრომელთა ფართო მასებთან კავშირის განმტკიცებისა და საბჭოთა ორგანოების მიერ მათი მომსახურების გაუმჯობესების დარგში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში ამომრჩევლებმა დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს განაწესები მისცეს. ბევრმა დეპუტატმა საქმიანად მოჰკიდა ხელი ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან დეპუტატები, რომლებიც ნაკლებ აქტივობას იჩენენ ამ მხრივ. ამაში მეტწილად ბრალი მიუძღვით ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს და მათს ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ ასრულებენ დეპუტატები ამომრჩეველთა განაწესს. მათ ავიწყდებათ, რომ საბჭოების მაღალნაყოფიერი ორგანიზატორული მუშაობა დეპუტატებისა და აქტივის გარეშე წარმოუდგენელია.

არის შემთხვევები, როცა საბჭოს აქტივისტად მხოლოდ დეპუტატებს თვლიან, რაც არ არის სწორი. როგორც ცნობილია, არჩევნებისათვის მზადების დღეებში ათასობით საუკეთესო ადამიანები მუშაობდნენ აგიტატორებად, ნდობით აღჭურვილ პირებად, საარჩევნო კომისიებში და სხვ. სწორედ ისინი წარმოადგენენ საბჭოებთან მოსახლეობის დამაკავშირებელ ერთ-ერთ ძირითად რგოლს. ადგილობრივ საბჭოებს მართებდათ ხელიდან არ გაეშვათ ეს აქტივი, ჩაებათ იგი მუშაობაში და ამით შემოეკრიბათ მეტი ძალები თავიანთ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად. მოწინავე საბჭოების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სადაც მთელ თავიანთ საქმიანობაში დეპუტატებსა და აქტივს ეყრდნობიან, იქ წარმატებებიც მეტია.

სახელმწიფოებრივ საქმიანობაში დეპუტატებისა და აქტივისტების ჩაბმის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას საბჭოების მუდმივი კომისიები წარმოადგენენ. ამ ბოლო დროს საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა სერიოზულად გაუმჯობესდა. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ყველა იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებსაც ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების კეთილმოწყობის, კომუნალური მშენებლობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოების მუდმივი კომისიები, მათში ჩაბმული დეპუტატები და აქტივისტები.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მორიგმა სესიამ ამას წინათ მოისმინა საბჭოს საბინაო მეურნეობისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიების ანგარიში. როგორც სესიაზე აღინიშნა, ამ კომისიებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს, რათა დახმარებოდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომს საბინაო მეურნეობისა და კომუნალური მეურნეობის აქტუალური საკითხების გადაჭრაში. კომისიებში ჩაბმული დეპუტატები და აქტივისტები მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და მისი განყოფილებების სამუშაო გეგმების შესაბამისად, სწავლობდნენ ცალკეულ საკითხებს და მათ შესახებ თავიანთი წინადადებანი შეჰქონდათ აღმასკომში. აღმასკომი კომისიის ყოველ წინადადებას გულისხმიერად ეკიდებოდა და დროულად იღებდა საჭირო გადაწყვეტილებას.

მუდმივი კომისიების დადებითი მუშაობის შესახებ იტყობინებიან ქ. ქუთაისიდან, ფოთიდან, ჭიათურიდან, ზესტაფონის, ახალციხის, თელავისა და ყვარლის რაიონებიდან.

ფოთის საქალაქო საბჭოსთან შექმნილია 9 მუდმივი კომისია. მათგან კარგად მუშაობენ საბიუჯეტო, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ვაჭრობის მუდმივი კომისიები. ამ კომისიების საქმიანობაში დეპუტატებს გარდა ფართოდ ჩაბმული არიან აქტივისტებიც. საქალაქო საბჭოს აღმასკომი მიმართულებას აძლევს მუდმივი კომისიების მუშაობას, მათი საშუალებით უფრო ამტკიცებს თავის კავშირს ქალაქის მშრომელებთან.

მეტად საინტერესოდ არის დაყენებული მუდმივი კომისიების მუშაობა თელავის რაიონის სანიორის სასოფლო საბჭოში. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ძებისაშვილი პერიოდულად ეთათბირება საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს, მათს წინაშე აყენებს მოცემულ პერიოდში მუშაობის კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც აღმასკომის სამუშაო გეგმიდან გამომდინარეობენ. ხშირად ისეც ხდება, რომ მუდმივი კომისიები თავიანთი ინიციატივით სწავლობენ საკითხს და შეაქვთ განსახილველად აღმასკომში. მაგალითად, ამ საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების მდგომარეობა, გამოავლინა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი და აღმასკომში შეიტანა თავისი წინადადებანი. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა თავის სხდომაზე განიხილა აღნიშნული საკითხი, დაამტკიცა კომისიის მიერ წარდგენილი წინადადებანი და მათი განხორციელების შედეგად საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა მკვეთრად გააძლიერეს მზადება პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მუშაკი მუდმივ კომისიას თვლის აღმასკომის და არა საბჭოს ორგანოდ. ამის შედეგად ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როდესაც საბჭოს აღმასკომები მბრძანებლობენ მუდმივი კომისიებისადმი, ისმენენ მათს ანგარიშებს აღმასკომის სხდომებზე, აძლევენ დავალებებს და სხვ. მუდმივი კომისიებისადმი ასეთი დამოკიდებულება სწორი არ არის. მუდმივი კომისია საბჭოს ორგანოა და სწორედ ამიტომ პასუხისმგებელია მხოლოდ საბჭოს წინაშე. კარგად იქცევიან ის საბჭოები, რომლებიც თავის სესიებზე პერიოდულად ისმენენ მუდმივი კომისიების ანგარიშებს და სახავენ ღონისძიებებს მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მოვალეობაა დაეხმარონ მუდმივ კომისიებს, ხელი შეუწყონ მათი ინიციატივის გამოვლინებას მუშაობის ყველა დარგში, მათი საშუალებით კიდევ უფრო განამტკიცონ კავშირი მოსახლეობასთან, იბრძოლონ ამომრჩეველთა განაწესის პირნათლად შესრულებისათვის.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

1949 წლის 21 დეკემბერს სრულდება 70 წელი ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადებიდან. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. მ. შვერნიკი (თავმჯდომარე), გ. ვ. ალექსანდროვი, ვ. ნ. ალექსეევი, ვ. მ. ამოსოვი, პ. ნ. ანგელინა, ა. ა. ანდრეევი, ვ. მ. ანდრიანოვი, ნ. ნ. ანიჩკოვი, გ. ა. არუთინოვი, მ. ჯ. ბაგიროვი, ბ. მ. ბაგიროვა, ი. პ. ბარდინი, შ. ბატიროვი, ლ. პ. ბერია, ს. მ. ბუდიონი, ნ. ა. ბულგანინი, ს. ი. ვავილოვი, ა. მ. ვასილევსკი, ა. ტ. ვეიმერი, კ. ე. ვოროშილოვი, ბ. გაფუროვი, ბ. დ. გრეკოვი, ფ. მ. გრინკო, ვ. ვ. ჯაბუა, ე. ი. დუხანინი, ი. ა. ემელიანოვი, ხ. ი. იპატოვა, ლ. მ. კაგანოვიჩი, ი. ა. კაიროვი, ი. ე. კალნბერზინი, ა. ე. კლეშჩევი, ნ. გ. კოვალი, დ. ხ. კოროტჩენკო, ა. ნ. კოსიგინი, პ. ი. კოჩინა, ვ. ვ. კუზნეცოვი, ა. პ. კუზნეცოვა, ი. დ. კუპრიანოვი, ო. ვ. კუუსინენი, ტ. დ. ლისენკო, ა. ე. ლიუსკოვა, გ. მ. მალენკოვი, პ. ა. მალინინა, ტ. ს. მალცევი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მიხაილოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ო. ი. მუშტუკოვა, ა. ი. პოკრიშკინი, ლ. ა. პომერანცევა, პ. კ. პონომარენკო, გ. მ. პოპოვი, ა. ნ. პოსკრებეშევი, პ. ნ. პოსპელოვი, ი. რ. რაზაკოვი, ნ. ა. როსიისკი, ლ. ვ. რუდნევი, ფ. ზ. საფინა, ა. ი. სნეჩკუსი, ი. ტ. სოლოვიოვი, მ. ა. სუსლოვი, ა. კ. ტარასოვა, ა. ა. ფადეევი, ზ. ტ. ფედოროვა, ვ. გ. ხლოპინი, ე. ს. ხობტა, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ნ. ჩარკვიანი, ბ. ნ. ჩერნოუსოვი, ა. ს. ჩუტკიხი, ე. შაიასმეტოვი, მ. ფ. შკირიატოვი, დ. დ. შოსტაკოვიჩი, უ. იუსუპოვი, ნ. კ. იარიგინა.

კომიტეტს დაეკვალა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შემუშავება და მათი განხორციელების ორგანიზაცია.

ვ. ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲢᲝᲛᲘ

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის ოცდამეექვსე ტომი, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა.

ოცდამეექვსე ტომში, ნათქვამია წინასიტყვაობაში, შედის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი, რომლებიც დაიწერა 1917 წლის სექტემბრიდან 1918 წლის თებერვლამდე.

ტომში მოთავსებულ ნაწარმოებთა დიდი ჯგუფი მიძღვნილია ბოლშევიკური პარტიის მიერ ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხებისადმი. ასეთია: „ბოლშევიკებმა ხელში უნდა აიღონ ძალაუფლება“, „მარქსიზმი და აჯანყება“, „კრიზისი მომწიფდა“, „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?“, „გარეშეს რჩევა“, სადირექტივო წერილები პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებისადმი. არალეგალურ პირობებში დაწერილ ამ ნაწარმოებებში ლენინი ავითარებს მარქსის აზრებს აჯანყების, როგორც ხელოვნების შესახებ, და სახავს აჯანყების კონკრეტულ გეგმას.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლენინის მოხსენებებს, სიტყვებსა და გამოსვლებს საბჭოების ყრილობებზე, პარტიული და საბჭოთა მუშაკების თათბირებზე, მოსახლეობისადმი მოწოდებებსა და მიმართვებს, რომლებიც გვიჩვენებენ ლენინს, როგორც პარტიისა და მშრომელი მასების ბელადს, საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მოღვაწეობას საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ თვეებში.

ტომში შეტანილია საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტების პროექტები და დეკრეტები, რომლებიც დაწერა ვ. ი. ლენინმა და მანვე მოაწერა ხელი როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ: „ზავის დეკრეტი“, „მიწის დეკრეტი“, „მუშათა კონტროლის დებულების პროექტი“, „გამოწვევის უფლების დეკრეტის პროექტი“, „ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელებისა და ამასთან დაკავშირებულ საჭირო ღონისძიებათა დეკრეტის პროექტი“, „დამფუძნებელი კრების დათხოვის დეკრეტის პროექტი“ და სხვები.

ბრესტის ზავის დადების საკითხზე ტროცკისტებისა და „მემარცხენე კომუნისტების“ პროვოკატორული, გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ ლენინის ბრძოლას ასახავენ ნაწარმოებნი: „ზავზე მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტი“, „უბედური ზავის საკითხის ისტორიისათვის“, გამოსვლები რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე 1918 წლის იანვარ-თებერვალში და სხვა დოკუმენტები.

ტომში შეტანილი მთელი რიგი ნაწარმოებნი მიძღვნილია დამფუძნებელი კრების მოწვევისა და დათხოვნისადმი: „თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ“, „რსდმპ (ბოლშევიკების) ფრაქციის დეკლარაცია, რომელიც გამოქვეყნდა დამფუძნებელი კრების 1918 წლის 5(18) იანვრის სხდომაზე“, „საიქიოს ადამიანები“ და სხვები.

ტომში შეტანილია ნაწარმოებნი: „ძველის კრახით დაშინებულნი და ახლისათვის მებრძოლნი“, „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ და „მომხმარებელთა კომუნების დეკრეტის პროექტი“, რომლებშიც ლენინი აშუქებს სოციალისტური მშენებლობის საკითხებს, ყოველმხრივ ასაბუთებს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების აუცილებლობას. ამ ნაშრომებში ლენინმა იმ პერიოდის მთავარ ამოცანად წამოაყენა სახალხო მეურნეობაში მტკიცე ალრიცხვისა და კონტროლის განხორციელება.

ოცდამეექვსე ტომში დაბეჭდილია 14 ნაწარმოები, რომლებიც პირველად არის შეტანილი ვ. ი. ლენინის თხზულებებში: „პრესის თავისუფლების შესახებ რეზოლუციის პროექტი“, „განცხადება გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობის ბოლშევიკების ფრაქციაში“, „პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ“, „ზავზე მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტი“, „დამფუძნებელი კრების განსნის შესახებ“, „დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკების ფრაქციის დროებითი ბიუროს შესახებ რეზოლუციის პროექტი“ (პირველად ქვეყნდება), „ლაპარაკი პირდაპირი მავთულით“, „ბრძანება წითელი გვარდიის შტაბისადმი“, „პროექტი 1918 წ. 18(31) იანვრის დეკრეტისა საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ“, „რადიოთი. ყველას. განსაკუთრებით საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში“, „რადიოგრამა ყველას, ყველას“, „ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ლაპარაკი პირდაპირი მავთულით დვინსკის საბჭოს წევრებთან“ და სხვა ნაწარმოებნი. ისინი ლენინმა დაწერა ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ და ასახავენ ბოლშევიკების პარტიის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სამართლიანი დემოკრატიული ზავის დამყარებისათვის. (საკდესი).

ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 28 ნოემბერი (საკდესი). იანგი-იულის ბამბის საწმენდი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა კ. ვ. ანდრიუშინმა გააკეთა ორიგინალური და მარტივი კონსტრუქციის აპარატურა, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ რადიოკავშირს ქარხნის ბოჭკოს გამცლელ საამქროსა და დამამზადებელ ბეღლებს შორის. საამქროს ოსტატს მიკროფონის საშუალებით სწრაფად შეუძლია გადასცეს ოპერატიული ბრძანებანი, მოაწესრიგოს მტვირთავთა მუშაობა, რომლებიც პნევმატური მილით უგზავნიან ბამბას ბოჭკოს გამცლელ აგრეგატებს. რადიოკავშირი საამქროებს შორის უკვე დამყარდა უზბეკეთის სსრ იანგი-იულის, სამარყანდის, კატაკურგანისა და სხვა ბამბის საწმენდ ქარხნებში.

გაუმჯობესა რა საამქროებს შორის რადიოკავშირის სისტემა, ბამბის მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინერმა პ. ე. ხარჩენკომ გააკეთა მოწყობილობა, რომელიც კონტროლს უწევს ნედლი ბამბის მიწოდებას ბოჭკოს გამცლელ აგრეგატებში და ავტომატურად იძლევა სიგნალს შეფერხების შესახებ. პირველი ასეთი აპარატი დაიდგა ნამანგანის ბამბისსაწმენდ ქარხანაში.

ამხ. ანდრიუშინისა და ამხ. ხარჩენკოს რაციონალიზატორული წინადადებანი დაწვრილებით არის აღწერილი ბამბის მრეწველობის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ბროშურაში. წლის დამლევამდე რადიოკავშირი საამქროებს შორის შემოღებულ იქნება რესპუბლიკის მეტწილ ბამბის ქარხნებში.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲜᲗᲕᲘᲠᲐᲪᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

30 ნოემბერს შედგა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის საზეიმო სხდომა. მწერლების, მსახიობების, მხატვრების, კინემატოგრაფიის მუშაკების, არქიტექტორების დიდ ჯგუფს გადაეცა სტალინური პრემიის ლაურეატების სატიო ნიშნები და დიპლომები 1948 წლის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ა. ფადეევმა სხდომა გახსნა, გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა ახალი წარმატება შემოქმედებითს მუშაობაში.

იმავე დღეს შემდგარი კომიტეტის პლენარული სხდომა მიეძღვნა იმ ნაშრომთა განხილვას, რომლებიც წარმოდგენილია 1948 წლის დამლევს და 1949 წელს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სტალინური პრემიების მოსაპოვებლად. სულ შემოსულია 552 ნაშრომი — მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე შარშან. ნაშრომების გასაცნობად კომიტეტის წევრები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქს მიემგზავრებიან. გარდა ამისა, მუშაობას იწყებენ ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, კინოს, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის სექციები. (საკდესი).

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

30 ნოემბერს აკადემიკოს ბ. ნ. ნესმეიანოვის თავმჯდომარეობით შედგა მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის მორიგი სხდომა. სხდომა მიეძღვნა ახალ გამოგონებათა და გაუმჯობესებათა განხილვას, რომლებიც წარადგინეს საბჭოთა ინჟინრებმა, კონსტრუქტორებმა, მრეწველობის სხვადასხვა დარგის სტახანოველებმა. საბჭოთა პატრიოტი ნოვატორების ნაშრომების მეოხებით ნავთის მრეწველობა გამდიდრდა ძიებისა და შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდებით, მეტალურგიულ საწარმოებში გაუმჯობესდა დიდმნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პროცესები, რკინიგზისა და სამდინარო ტრანსპორტის მუშაობაში ბევრი რამ ძვირფასი და ახალია შეტანილი.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე სატყეო, ქაღალდის, თევზის, საშენი მასალების მრეწველობის დარგში სამეცნიერო-ტექნიკური აზრის განვითარებისადმი მიძღვნილი მოხსენებანი.

გრძელდება 1949 წლისათვის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ გამოგონებათა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეულ გაუმჯობესებათა განხილვა. (საკდესი).

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ახალ წარმატებებს აღწევს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალი ბრიგადა და მქსოველი. მქსოველთა მეექვსე ბრიგადამ წლიური დავალება 108,9 პროცენტით შეასრულა. ახლა ბრიგადა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს.

დაწინაურდა მქსოველთა მეორე ბრიგადაც, რომელმაც ნოემბერში 50 პროცენტის ნაცვლად 70 პროცენტი პირველი ხარისხის კრეპდეშინი, კრეპსატინი და ფარჩა მოგვცა და ამასთან წლიური გეგმა 108 პროცენტით გაანაღდა.

ოთხდაზგოსანმა მქსოველმა ეკატერინე ურთაშვილმა, რომელმაც წლიური დავალება ჯერ კიდევ ოქტომბერში შეასრულა, სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით 2.023 მეტრი ძაღალხარისხოვანი ქსოვილი გამოუშვა. ფაბრიკის მეორე მოწინავე მქსოველმა ბ. ქურციკიძემ წლიური გეგმის გადამეტებით უკვე მოგვცა 1.396 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

ასევე მაღალი მაჩვენებლებით აღნიშნავენ სტალინური კონსტიტუციის დღეს სტახანოველი მქსოველები ე. ნიკულინა, ე. მეხრაძე და სხვები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲚᲓᲕᲘᲕᲐᲒᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲔᲡᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ

სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის კოლექტივმა ახალი წარმატება მოიპოვა: ათვისებულია ორი ახალი სახის პროდუქციის—კულტივატორისა და სიმინდის სათესი მანქანის წარმოება.

კულტივატორი განკუთვნილია ციტრუსოვანი და ტექნიკური კულტურების რიგთაშუა ნიადაგის გასაფხვიერებლად. იგი დიდ დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. სათესი მანქანის დანიშნულებაა სიმინდისა და სოიას ბუდობრივი თესვა, რაც გამოიწვევს თესლის ეკონომიას, გაუმჯობესებს თესვის ხარისხს, აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას. ამ მანქანათა ათვისებაში თავი გამოიჩინეს ზეინკალმა ი. იორდანიშვილმა, შემდუღებელმა გ. კვალიაშვილმა, მჭედლებმა შ. ბოდოკიამ და გ. არაბიძემ, ხარატებმა ი. რიჟამაძემ, გ. ელბაქიძემ და სხვებმა.

გარდა ამისა, ქარხნის კოლექტივმა სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით გამოუშვა 70 ცალი ტუნგოს ნაყოფის საწმენდი მანქანა.

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. (საკ. კორ.). სოფელ საკრაულას კოლმეურნეობა „კომუნსაკენ“ მდინარე საკრაულაზე აშენებს 50 ცხენისძალიან ელექტროსადგურს. მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დეკემბერში. ელექტროსადგურის მშენებლობაზე 250.000 მანეთი დაიხარჯება.

სულ მალე ილიჩის ნათურებით გაანათებენ რაიონის ცენტრიდან დიდი მანძილით დაშორებულ მთიან სოფელ საკრაულას კოლმეურნეთა ბინებს.

1.467.200 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘᲗᲘ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ. (საკ. კორ.). ლაგოდეხის გერანის ქარხანამ მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანას მისცა 1.467.200 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა 4.480 კილოგრამი ბაზილიკის ზეთი, ნაცვლად 3.696 კილოგრამისა. გადაჭარბებით არის შესრულებული ყაზანლიყის ვარდისა და გერანის ზეთის გამოშვების წლიური დავალება.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. მუჯირი) ამჟამად მთავრდება კოლმეურნეობის კანტორის, კლუბისა და სამკითხველოსათვის განკუთვნილი კაპიტალური შენობის აგება, რომელიც 400.000 მანეთი დაჯდება.

აქვე, წელს ააგეს საკოლმეურნეო აბანო, 150 ტონა მარცვლეულის ტევადობის კაპიტალური საწყობი, საფუმიგაციო კანტორა, მოწინავეთა ვიტრინა და ავტომანქანების გარაჟი, რომელთა მშენებლობა 120.000 მანეთი დაჯდა. ამრიგად, წელს მერიის კოლმეურნეობაში კაპიტალურ მშენებლობაზე სულ 520.000 მანეთი დაიხარჯა.

ᲠᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲦᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲝᲜ 1.350 ᲢᲝᲜᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა. 30 ნოემბრისათვის დამზადებულია 3.502 ტონა თამბაქო, გეგმის 101,2 პროცენტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი ამხ. ნუცუბიძე და მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბუცხრიკიძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.350 ტონა თამბაქო.

ძირეული პროფორგანიზაციის ანგარიშგება - არჩევნები

მუშათა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობით

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ძირეული პროფორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნები, რაც 15 ნოემბრიდან დაიწყო, დიდი აქტივობით მიმდინარეობს. არჩევნების დაწყებამდე პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა პარტიულ კომიტეტთან ერთად დაამუშავა კრებების ჩატარების კალენდარული გეგმა. თვითეულ პროფკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად მიემაგრა პარტიული და პროფკავშირული აქტივი. პროფორგანიზაციის პირველ რგოლში არჩევნები ამ დღეებში დამთავრდა. ქარხნის საამქროებსა და განყოფილებებში არჩეულია 133 პროფჯგუფორგი. საამწყობო, საქვაბე, მექანიკური, სამგზავრო-სავაგონო და სხვა საამქროებში პროფჯგუფორგების ანგარიშგება-არჩევნები მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა.

ანგარიშგება-არჩევნებმა მრავალი მოწინავე პროფჯგუფი გამოავლინა. ორთქლმავლების ამწყობ საამქროში მკვეთრების, რვილებისა და დგუშების შემკეთებელ ზეინკალთა ბრიგადების პროფჯგუფს ხელმძღვანელობს მოწინავე სტახანოველი რაციონალიზატორი კომუნისტი ვანო ჩვინტიაშვილი. მის ჯგუფში პროფკავშირის 20 წევრი ირიცხება. ამხ. ჩვინტიაშვილი რეგულარულად იწვევს პროფჯგუფის კრებებს. კრებებზე იხილავენ აქტუალურ საკითხებს. ჯგუფში განხილულ-იქნა დისციპლინა, იბრძვიან ეკონომიისათვის, დავალებას ყველა გადაჭარბებით ასრულებს, დროულად იხდიან საწევრო ანარიცხებს.

ამ ჯგუფში შემავალი ზეინკალი შ. კაპანაძე ქარხნის ცნობილი სტახანოველია. იგი გამომუშავების ნორმებს 200-250 პროცენტით ასაღდებს, ამავე დროს რაციონალიზატორია. მისი წინადადებით განხორციელდა გადამყვანი ღერძის საყელურის შეცვლა, რამაც რამდენიმე ათასი მანეთი ეკონომია მისცა წარმოებას. ბრიგადამ, რომელსაც ამხ. კაპანაძე ხელმძღვანელობს, ძველი ნაწილების გამოყენებით 10 თვის განმავლობაში 5 ათასი მანეთი ეკონომია გასწია. პროფჯგუფში შემავალი ზეინკლები ა. კაპანაძე, ს. ბაბაევი, ა. ინაური ქარხნის მოწინავე ადამიანები არიან.

ამავე საამქროს მრანდავების პროფჯგუფს მოწინავე სტახანოველი მრანდავი გ. აფხაზიშვილი ხელმძღვანელობს. იგი გამომუშავების ნორმებს 300-ზე მეტი პროცენტით ასრულებს და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს მასთან მომუშავეებს.

ქარხანაში ყველა იცნობს საბარგო ვაგონების საამქროს აქტიურ პროფჯგუფორგს გ. გაბინაშვილს. იგი საამქროს მლებავებს აერთიანებს 22 კაცის შემადგენლობით. მლებავები კ. იურევა და ი. გრიგორიევა საწარმოო დავალებებს ვერ ასრულებდნენ. ამის შესახებ იმსჯელეს პროფჯგუფში. ჯგუფორგი მათ აქტიურად დაეხმარა და ახლა ისინი დავალებას 140-160 პროცენტით ანაღდებენ. ასევე ჩამორჩებოდა ახალგაზრდა მლებავი გ. ეკიზაშვილიც. ჯგუფორგმა გაბინაშვილმა თავის ბრიგადაში გადაიყვანა ჩამორჩენილი მუშა, დახმარება გაუწია მას. ამჟამად ეკიზაშვილი დავალებას თითქმის ორმაგად ანაღდებს.

მაგრამ ასევე როდი ითქმის ორთქლმავლების ამწყობი საამქროს იმ პროფჯგუფებზე, სადაც ჯგუფორგებად ა. ცხვინსანიძე და ვ. ბუბენკო იყვნენ. მათ საანგარიშო პერიოდში არც ერთი კრება არ მოუწვევიათ. პროფჯგუფებში სუსტი იყო საწარმოო და შრომის დისციპლინა, დროულად არ იხდიდნენ საწევრო ანარიცხებს. თვით ჯგუფორგი ცხვინსანიძე ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის შესახებ სამართლიანად მიუთითეს ჯგუფის კრებაზე. ამას წინათ ამ ჯგუფში უხეშად დაარღვიეს შრომის დისციპლინა ზეინკალმა ვ. მეტელიოვმა და მეთითბრე გელხაურმა. რაც შეეხება პროფჯგუფს, სადაც ამხ. ბუბენკო მუშაობდა ჯგუფორგად, აქაც იყო მსგავსი შემთხვევები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჯგუფორგმა არ იზრუნა 4 ახლად მოსული მუშის კავშირში მიღებისათვის. პროფჯგუფორგების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ამ ამხანაგების მუშაობა სამართლიანად გაკრიტიკეს და მათ ნაცვლად მოწინავე ამხანაგები აირჩიეს.

ქარხანაში უკვე დაიწყო საამქროთა პროფკავშირული კომიტეტების ანგარიშგება-არჩევნები. საქარხნო პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები ყოველდღიურ დახმარებას უწევენ საამქროთა კომიტეტებს ანგარიშგება-არჩევნების წარმატებით ჩატარების საქმეში. ძირეული პროფორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები დიდი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს.

ზ. ქაჯაია შვილი

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.



ხაშურის მტს-ის ტრაქტორისტი ოთარ ლომაძე, რომელიც საუკეთესოდ არემონტებს ტრაქტორს.

ფოტო რ. აკოფოვისა

სახელმწიფო კრედიტი კოლმეურნეობებს

ყაზბეგი. (საკ. კორ.). შარშან რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს 650.000 მანეთი კრედიტი. ეს თანხა მოხმარდა საკოლმეურნეო პროდუქტიული მეცხოველეობის აღმავლობას და ელექტროსადგურების შენებლობას.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობები კიდევ მიიღებენ 1.200.000 მანეთ სახელმწიფო კრედიტს. აქედან 900.000 მანეთი დაბანდებული იქნება მეცხოველეობის ფერმათა საჭიროებისათვის, ხოლო 300.000 მანეთი სოფლების ელექტროფიკაციისათვის.

ახალი საავადმყოფოები სოფლებში

ოზნი. (საკ. კორ.). რაიონის სოფლებში — ბარსა და ღებში აშენდა ახალი საავადმყოფოები. ბარის საავადმყოფოს აქვს 10 საწოლი, სადეზინფექციო კამერა და კეთილმოწყობილი ბაღი. საავადმყოფო უკვე გაიხსნა.

მალე გაიხსნება სოფელ ღების საავადმყოფოც, რომელიც 40-საწოლიანი იქნება.

სოფელ ზვარეთის საავადმყოფოსათვის დამატებით აშენდა ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიც დაიდგმება 30 საწოლი. საავადმყოფოს პირველ სართულზე იქნება სამზარეულო, სამრეცხაო და საწყობი. მიმდინარეობს საავადმყოფოს ეზოს კეთილმოწყობა.

საზამთრო საძოვრებზე

საქართველოს მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობები ცხვარს ჩრდილოეთ კავკასიის ყიზლარის საძოვრებზე აზამთრებენ. უკვე დამთავრდა ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკოლმეურნეო ცხვრის გადარეკა საზამთრო საძოვრებზე.

ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე მოზამთრე კოლმეურნეობებმა წელს შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი სადაზღვეო თივის მარაგი დაამზადეს. ამ მხრივ კარგი მუშაობა ჩაატარეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური. ოლქის კოლმეურნეობებმა. მათ შარშანდელთან შედარებით 13.150 ცენტნერით მეტი თივა დაამზადეს. კარგი მაჩვენებლები აქვთ თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებსაც. მაგრამ ყველა მოზამთრე კოლმეურნეობის ცხვარი ერთნაირად არ არის უზრუნველყოფილი თივის მარაგით. საჭიროა მეცხოველეობის რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა ახლავე მიიღონ ზომები თივის გადასანაწილებლად, იმ ანგარიშით, რომ ყველა კოლმეურნეობა უზრუნველყოფილი იყოს ზამთრის მარაგით. მეცხოველეობის ფერმებს ამჟამად პირუტყვის სადგომ ბინებთან გადააქვთ დამზადებული თივა. ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებმა თითქმის უკვე დაამთავრეს ეს სამუშაო და ახლა აწარმოებენ ბინების შეკეთებას.

გარდა საძოვრებზე მოქმედი 34 არტეზიული ჭისა, წელს დამატებით გაწმენდილია ექვსი და გაბურღილია ორი ახალი ჭა. წლის ბოლომდე კიდევ დამთავრდება სამი არტეზიული ჭის გაბურღვა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირუტყვი საძოვრებზე წყლით უზრუნველყოფილი იქნება.

პირუტყვის ზოოვეტერინარული მომსახურებისათვის ფართო ქსელია გაშლილი. საძოვრების ცენტრში მოწყობილია ცენტრალური ზოოვეტუბანი, საძოვრების თვითეულ მასივზე კი გახსნილია ზოოვეტუბნები. დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საძოვრების ზოოვეტუბნები დაკომპლექტებულია გამოცდილი სპეციალისტებით და უზრუნველყოფილია საჭირო მედიკამენტებით და ბიოპრეპარატებით. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობების მომსახურე ზოოვეტუბნებისათვის მალე დამთავრდება სპეციალური ბინის შენებლობა.

იმისათვის, რომ კოლმეურნეობებს გაუადვილდეთ საძოვრებზე თივის დამზადება, ბინების შენებლობა, საშენი მასალის და დამზადებული თივის ბინებთან მიზიდვა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წელს საძოვრებზე ჩამოაყალიბა სატრანსპორტო-სატრაქტორო პარკი, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო მანქანებით. ამჟამად პარკის განკარგულებაშია 34 ტრაქტორი, 11 სატვირთო ავტომანქანა. მას საჭირო რაოდენობით აქვს ფარცხები, გუთნები, სამკალი მანქანები. მოკლე დროის განმავლობაში სატრაქტორო პარკმა კოლმეურნეობებისათვის დაამზადა 30 ათას ცენტნერზე მეტი თივა, რომლის დიდი ნაწილი უკვე მიზიდულია ბინებთან. პარკი დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს ბინებთან საშენი მასალისა და სხვა სახის ტვირთის მიზიდვის საქმეშიც.

მწყემსთა უკეთ მომსახურების მიზნით ცეკავშირის საძოვრების ცენტრში მოწყობილი აქვს სასადილო, პურის საცხობი და სამრეწველო საქონლის ფარდულები, რომლებიც ამარაგებენ მწყემსებს ტანსაცმლით, სურსათ-სანოვაგით და პირველი მოთხოვნილების სხვა საგნებით. საჭიროა ცეკავშირმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს მწყემსთა მომარაგებას თბილი შეკერილი ტანსაცმლით.

სერიოზული მუშაობაა გაწეული მწყემსთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. საძოვრებზე მოწყობილია ათ-ათ საწოლიანი ორი საავადმყოფო, რომელთა სამედიცინო პერსონალი არა მარტო სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას უწევს მწყემსებს, არამედ ეხმარება მათ ადგილებზეც. ხშირად ეწყობა მწყემსთა ბინების შემოვლა, ტარდება საუბრები და სხვ. კარგი იქნება, თუ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ავადმყოფ მწყემსთა სასწრაფო დახმარებისათვის საავადმყოფოების განკარგულებაში გაგზავნის ერთ სანიტარულ ავტომანქანას.

ნაკლები ყურადღება ექცევა საძოვრებზე მწყემსთა კულტურულ მომსახურებას. მართალია, საძოვრების ცენტრში მწყემსთათვის არსებობს ქოხ-სამკითხველო, მაგრამ ჯერჯერობით იქ სათანადოდ არ არის გაშლილი მუშაობა. საჭიროა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და დაჩქაროს საძოვრებზე კულტმუშაკების გაგზავნა.

იმ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა, რომელთა ცხვარიც ჩრდილოეთ კავკასიაში იზამთრებს, აუცილებელია მეტი კავშირი იქონიონ მწყემსებთან, დაეხმარონ მათ პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრების საქმეში.

ზ. კავსაძე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საძოვრების განყოფილების გამგე

ბახარაძის რაიონის ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ფაცია გოგოტაშვილი, რომელიც ყოველდღიურად მკრეფს 8.000 ცალ მანდარინს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.000 ცალისა.

ფოტო რ. აკოფოვისა

ციტრუსოვანთა ნაყოფის შემფუთავი და ყუთში ჩამწყობი მანქანა

ბათუმი. (საკ. კორ.). ინჟენერმა ე. როლოვმა გამოიგონა ციტრუსოვანთა ნაყოფის შემფუთავი და ყუთში ჩამწყობი მანქანა. მანქანა ჭრის ქაღალდს, ახვევს მასში ნაყოფს და წესრიგზე აწყობს ყუთში. მანქანის სიმძლავრე ცვლაში 120 ათას ცალ ნაყოფს შეადგენს და დიდ ეკონომიას იძლევა. როგორც ცნობილია დღემდე ციტრუსოვანთა ნაყოფის შეფუთვა ხელით წარმოებდა.

ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში უკვე დაამზადეს ასეთი საცდელი მანქანა, რომელიც მუშაობას დაიწყებს ლომმანტრესტის შახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის შემფუთავ პავილიონში.

მანდარინის გადამუშავება

ძუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში საკონსერვო ქარხანამ მიიღო ახალი მოსავლის მანდარინის პირველი პartია აფხაზეთიდან. მთავარ საკონსერვო და სამურაბე საამქროებში უკვე დაიწყეს მანდარინის გადამუშავება. ამ ძვირფასი ციტრუსოვანი ნაყოფისაგან ამზადებენ უმაღლესი ხარისხის მურაბას, ჯემსა და წვენს.

ვ. გრიგორიანი

მემარჯვენე სოციალისტები—ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის მოღალატენი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამ, რომელიც აშვა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, პროლეტარიატის დიქტატურის იდეის დროშით, მოასწავებდა მარქსიზმის გამარჯვებას რეფორმიზმზე, ლენინიზმის გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე.

ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიები — ბურჟუაზიული პოლიტიკის გამტარებლები, რომლებიც მუშათა კლასს განუმზადებდნენ იარაღის როლს ბურჟუაზიის ხელში, — ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სავსებით გაემჯნენ მარქსიზმს, ვინაიდან ცხადი გახდა, რომ არ შეიძლება ნამდვილად იცავდე მარქსიზმს, თუ აშკარად და პატიოსნად არ უჭერ მხარს პროლეტარულ დიქტატურას, არ შეიძლება წინანდებურად ეწეოდე პროლეტარიატის დიქტატურის იდეით თამამს, კაპიტალიზმისათვის ერთგვარი საფრთხის შეუქმნელად.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ოპორტუნიზმთან ბრძოლა აუცილებელი პირობაა კაპიტალიზმთან წარმატებითი ბრძოლისა.

ახლანდელი სოციალ-დემოკრატიზმი იდეური დასაყრდენია ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური რეაქციისა, რომლის ერთგული მსახურნიც არიან გამყიდველი მემარჯვენე „სოციალისტი“ ლიდერები, მსოფლიო ბატონობის დამყარების, ხალხთა დამონებისა და ახალი ომის გაჩაღების იმპერიალისტური აგრესიული გეგმების გამტარებლები.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც შეშფოთებას მოუცავს მოახლოებულ ეკონომიურ კრიზისთან და დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ბანაკის ძალების განუხრელ ზრდასთან დაკავშირებით, სულ უფრო ცინიკურად და აშკარად იყენებენ მემარჯვენე სოციალისტ „ბელადებს“ მუშათა და დემოკრატიულ მოძრაობაში გათიშვის მოსაწყობად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ ღვარძლიანი პროპაგანდის, სიცრუისა და ცილისწამების ეახავრელებლად, მასების იდეოლოგიურად მოსამზადებლად ახალი ომისათვის, რომლის საშუალებითაც იმპერიალიზმი ეძებს გამოსავალს მისთვის გადაუჭრელ წინააღმდეგობათაგან.

მემარჯვენე სოციალისტი ლიდერები სდევნიან თავიანთ ქვეყნებში მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის მოწინავე წარმომადგენლებს, აწყობენ მათ წინააღმდეგ წასისიანებას, ლაფში სვრიან იმათ, ვინც ხმას აღიმაღლებს მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის და მთელი დემოკრატიული ძალების მჭიდროდ დარაზმვისათვის. ამერიკელ იმპერიალისტებს რომ აამონ და მათი წყალობა დაიმსახურონ, ისინი საზიზღრად ღალატობენ მშრომელთა საარსებო ინტერესებს.

დღესაც, ჩვენს თანამედროვე ვითარებაში, სავსებით ინარჩუნებს მთელ თავის ძალას სოციალ-დემოკრატიზმის კლასიკური განსაზღვრა, რაც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა 1927 წელს თავის ისტორიულ ნაშრომში „ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი“:

„როცა ბატონი ადლერები და ბაუერები, ველსები და ლევები, ლონგეები და ბლუმები ლანძღავენ „საბჭოთა რეჟიმს“ და ხოტბას ასხამენ პარლამენტურ „დემოკრატიას“, ამით მათ სურთ თქვან, რომ იბრძვიან და იბრძოლებენ კაპიტალისტური წესწყობილების **აღდგენისათვის** სსრ კავშირში, კაპიტალისტური მონობის **შენარჩუნებისათვის** „ცივილიზებულ“ სახელმწიფოებში“.

ახლანდელი სოციალ-დემოკრატიზმი კაპიტალიზმის **იდეური დასაყრდენია.** ლენინი ათასგზის მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ახლანდელი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსები არიან „ნამდვილი **აგენტები ბურჟუაზიისა მუშათა** მოძრაობაში, კაპიტალისტთა კლასის მუშა ლაქიები“, რომ „ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის სამოქალაქო ომში“ ისინი აუცილებლად დადგებიან „ვერსალელთა“ მხარეზე „კომუნარების“ წინააღმდეგ“.

შეუძლებელია ბოლო მოვუღოთ კაპიტალიზმს, თუ ბოლო არ მოვუღეთ სოციალ-დემოკრატიზმს მუშათა მოძრაობაში. ამიტომ კაპიტალიზმის კვდომის ერა ამავე დროს არის მუშათა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიზმის კვდომის ერა“ (თხზ., ტ. 10, გვ. 249-250).

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებად აღიმართა ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა გზაზე. ეს მოძრაობა, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანს მოედო, იმის ერთ-ერთი მაჩვენებელია, რომ მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები განუხრელად იზრდებიან და მრავლდებიან, რომ ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული ბანაკის ძალები სჭარბობენ რეაქციისა და ომის ბანაკის ძალებს. იმპერიალისტური რეაქცია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებს გამყიდველ მემარჯვენე სოციალისტ ლიდერებს, თავის სხვადასხვა ჯურის აგენტურას და მათ შორის ტიტო-რანკოვიჩის ნაციონალისტურ ხროვას —ნაცად მკვლელთა და ჯაბუშთა, ომის გამჩაღებლების აქტიურ ხელშემწყობთა ამ ბანდას. ბუდაპეშტში შემდგარმა სასამართლო პროცესმა ცხადყო, როგორც ეს თქვა ამხ. გ. მ. მალენკოვმა მოხსენებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი“, რომ ომის გამჩაღებლები და მათი იუგოსლავიელი ლაქიები ცდილობენ ჩაშალონ სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების ისტორიული აღმავლობა, მოამზადონ მათ წინააღმდეგ შეიარაღებული იმპერიალისტური ინტერვენცია და გადააქციონ ისინი თავიანთ კოლონიებად. იუგოსლავიელი ნაციონალისტების მხილებამ, რომლებსაც იმპერიალისტები იყენებენ აგრეთვე მუშათა და დემოკრატიულ მოძრაობაში გათიშვის მოსაწყობად, ძლიერი ლახვარი ჩასცა ომის გამჩაღებელთა ზრახვებს. მთელ რიგ ქვეყნებში მშვიდობის მომხრეთა ნაციონალურმა კომიტეტებმა სწორად შეაფასეს ტიტო-რანკოვიჩის ჯაბუშური ბანდის მოღალატური და ძირგამომთხრელი საქმიანობა და თავიანთი რიგებიდან ერეკებიან იმპერიალიზმის ამ მსტოვარებს. კაპიტალიზმის იუგოსლავიელი ლაქიები გარიცხული არიან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის რიგებიდანაც.

* * *

ორი მოპირდაპირე ბანაკის — იმპერიალისტურისა და ანტიიმპერიალისტურის — ბრძოლა ჩაღდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანდათან გამწვავების, კაპიტალიზმის ძალების შესუსტებისა და სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების განმტკიცების ვითარებაში. ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ბანაკის ძალების მძლავრი ზრდის მკაფიო გამოხატულებაა ჩინელი ხალხის დიდი ისტორიული გამარჯვება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება.

ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური რეაქცია და მისი მემარჯვენე სოციალისტი დამქაშები გამალებით ცდილობენ განახორციელონ თავიანთი ბნელი ზრახვები ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის წინააღმდეგ.

ზოგიერთი კომპარტიის წარმომადგენელთა საინფორმაციო თათბირი, რომელიც 1947 წლის სექტემბრის დამლევს პოლონეთში შედგა, თავის დეკლარაციაში აღნიშნავდა, რომ საფრანგეთში ბლუმის, ინგლისში ეტლისა და ბევინის, გერმანიაში შუმახერის, ავსტრიაში რენერისა და შერფის, იტალიაში სარაგატის ტიპის მემარჯვენე სოციალისტთა გამცემლური პოლიტიკის გამოყენებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმპერიალისტების ტაქტიკურ საშუალებათა არსენალში. მემარჯვენე სოციალისტები ყველგან ცდილობენ ჩაშალონ ევროპის მთელი დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ძალების მჭიდროდ დარაზმვის საქმე. იმპერიალისტების ამ ერთგულ ხელშემწყობთ გახრწნილება შეაქვთ მუშათა კლასის რიგებში, სწამლავენ მის შეგნებას.

კაბალური „მარშალის გეგმისა“ და მის მიერ წარმოშობილი ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის და დასავლეთის კავშირის განხორციელების საკითხებში, ეგრეთ წოდებული „ევროპის ფედერაციის“ შექმნაში მემარჯვენე სოციალისტი ლიდერები სავსებით ახორციელებენ ამერიკის იმპერიალიზმის ნებას. ისინი მაღალფარდოვანი ფრაზებით ცდილობენ შენიღბონ ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ეგრეთ წოდებული ეკონომიური „დახმარება“ მიზნად ისახავს ამერიკის კაპიტალის მიერ ევროპის დამონებას.

მემარჯვენე სოციალისტი ლიდერების დანაშაულებრივ გამთიშველ საქმიანობას, რაც მომდინარეობს ზემოდან, მოწინავე მუშები უპირდაპირებენ მოქმედების ერთიანობას ქვემოდან, ვინაიდან ცხოვრება ყოველდღე გვიჩვენებს იმის ახალ უცილობელ დამამტკიცებელ საბუთებს, რომ მემარჯვენე სოციალისტი ბელადები ღალატობენ მუშათა კლასის ინტერესებს, თიშავენ მის რიგებს ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების კარნახით.

ბლუმის, ბევინის, შუმახერისა და იმპერიალიზმის სხვა მემარჯვენე სოციალისტი აგენტების ღონისძიებანი მჭიდროდ უკავშირდება ყველა ჯურის რეაქციონერთა ღონისძიებებს. კომისკო, ეგრეთ წოდებული კომიტეტი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციებისა, მთლიანად ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურშია და ასრულებს თავისი იმპერიალისტი ბატონებისა და დაზვერვათა დავალებებს მუშათა მოძრაობის, პროფკავშირული ერთიანობის გახრწნისა და გათიშვისათვის, სხვადასხვა ქვეყნის მემარჯვენე სოციალისტ მოღალატეთა ძირგამმთხრელი საქმიანობის კოორდინაციისათვის.

ინგლისში ლეიბორისტთა მეთაურები აშკარად ღალატობენ მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს, ვაშინგტონის კარნახით ეწევიან ინგლისის ეკონომიკისათვის მთლიანად ძირის გამოთხრის, ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესებისადმი ინგლისის დამორჩილების დამღუპველ პოლიტიკას. ამას წინათ ჩატარებულმა გირვანქა სტერლინგის დევალვაციამ მკვეთრად დააქვეითა მშრომელთა საარსებო დონე. ლეიბორისტი მინისტრების განცხადებანი იმის შესახებ, რომ დევალვაცია თითქოს შეანელებს საფინანსო კრიზისს ინგლისში, წმინდა წყლის დემაგოგიაა; გირვანქა სტერლინგის დევალვაცია, უეჭველია, მხოლოდ გაღრმავებს ეკონომიურ სიძნელეებს ინგლისში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ინგლისის კომპარტიის საარჩევნო პროგრამის პროექტში აღნიშნული იყო, რომ „ნაციონალიზაცია“, რომელსაც ქადაგებენ და პრაქტიკულად ახორციელებენ მემარჯვენე ლეიბორისტი ლიდერები, ფაქტიურად არ ასუსტებს კაპიტალისტების კლასს. ნაციონალიზებულია მეურნეობის დარგების [illegible] ოლოდ მცირე ნაწილი, ამასთან ეს ნაციონალიზებული დარგებიც იმისათვის მუშაობენ, რომ უზრუნველყონ ყოფილი მფლობელების მიერ მოგების მიღება და იაფი მომსახურების გაწევა კერძო საწარმოებისათვის, რომლებიც დიდ მოგებას იღებენ. ნაციონალიზებული შახტების, რკინიგზებისა და ელექტროსადგურების ყოფილი მფლობელები ამჟამად თავს სრულებითაც არ გრძნობენ იმაზე უარესად, ვიდრე წინათ იყვნენ. მათ კომპენსაციის ანგარიშში მისცეს 2.884 მილიონი გირვანქა სტერლინგი და ყოველ წელიწადს უხდიან ამ თანხის პროცენტებს — 80 მილიონზე მეტ გირვანქა სტერლინგს. მრეწველობის ნაციონალიზებული დარგების სამმართველოებში დანიშნული მსხვილი კაპიტალისტები, რასაკვირველია, არ აპირებენ გაუფუჭებესონ მუშათა შრომის პირობები ან მომხმარებელთა მდგომარეობა; მათ სურთ მხოლოდ კომპენსაციები მიიღონ და უზრუნველყონ კერძო ფირმებისათვის იაფი მომსახურების გაწევა.

ლეიბორისტთა მმართველობის ოთხი წლის შემდეგ სიმდიდრე და ეკონომიური ძალაუფლება ინგლისში კვლავ მაგრად უპყრია ხელთ კაპიტალისტთა კლასს. მიუხედავად მთელი ლაყბობისა „სოციალური თანასწორობის ზრდის“ შესახებ, მდიდართა მდგომარეობა ამჟამად უკეთესია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ერთმა მუშა კაპიტალისტებმა, მეშუალეებმა, რანტიეებმა 1948 წელს 2.922 მილიონი გირვანქა სტერლინგი შემოსავალი მიიღეს (გადასახადების გამოკლებით). ეს ინგლისის ყველა მუშის ხელფასის წლიური ფონდის 4/5-ს შეადგენს (გადასახადების გამოკლებით).

ლეიბორისტი მეთაურები გამოდიან როგორც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის უბოროტესი მტრები, საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობაში გათიშვის ორგანიზატორები, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ წასისიანების სულისჩამდგმელნი, ახალი ომის მომზადებასა და გაჩაღებაში ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა ხელშემწყობნი.

ამერიკის შრომის ფედერაციის, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის, ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის რეაქციული ხელმძღვანელები გაფაციცებით მუშაობენ გამთიშველი საერთაშორისო პროფკავშირული ფედერაციის შესაქმნელად, რომლის ერთ-ერთი ამოცანაც, ინგლის-ამერიკის პროფკავშირული რეაქციის ლიდერების აღიარებით, უნდა იყოს „აღმოსავლეთ ევროპაში მთავრობათა დამხობა“. ასე იყენებენ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები მემარჯვენე სოციალისტებს ძირგამომთხრელი მუშაობისათვის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. საღაც მუშათა კლასის ორგანიზაციული და პოლიტიკური ერთიანობის განხორციელებით რეფორმიზმს გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ომის მზადების დაგმობისა და მშვიდობის განსამტკიცებლად ხუთი სახელმწიფოს პაქტის დადების შესახებ

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გენერალური ასამბლეის 1949 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ სიტყვა წარმოთქვა გენერალური ასამბლეის 1949 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე.

„ჩვენი სესია დასასრულს უახლოვდება,—თქვა ა. ი. ვიშინსკიმ. — მისი მუშაობა მთავრდება უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვით, რომელიც საბჭოთა მთავრობის დავალებით შემოიტანა საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, ახალი ომის მზადების დაგმობისა და მშვიდობის განსამტკიცებლად ხუთი სახელმწიფოს პაქტის დადების საკითხის განხილვით. გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მიერ შემოტანილი წინადადებანი იმ სამშვიდობო წინადადებათა გაგრძელება და განვითარება იყო, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციას არაერთხელ შეუტანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ისინი გამოხატავენ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საერთო პრინციპულ გეზს, მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისა და მეგობრობისათვის უცვლელი და თანმიმდევრული ბრძოლის გეზს.

„ჩვენი მთავრობის პოლიტიკის, საგარეო პოლიტიკის, საფუძველს მშვიდობის იდეა შეადგენს. ჩვენი ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლა, ახალი ომების წინააღმდეგ ბრძოლა, ყველა იმ ნაბიჯის გამოაშკარავება, რომლებსაც დგამენ ახალი ომის მოსამზადებლად, ისეთი ნაბიჯების გამოაშკარავება, რომლებიც სინამდვილეში ომის მზადებას პაციფიზმის დროშით ფარავენ“.

ასე განსაზღვრა ჩვენი ამოცანები ჯერ კიდევ 1925 წელს საბჭოთა ხალხის ბელადმა ი. ბ. სტალინმა.

„ჩვენ ვემხრობით მშვიდობას, ჩვენ ვემხრობით ყველა ისეთი ნაბიჯის გამოაშკარავებას, რომლებსაც ომი მოსდევს, რაგინდ პაციფისტური ალმებითაც იყონ ისინი დაფარული. ერთა ლიგა იქნება ეს თუ ლოკარნო—სულ ერთია, ჩვენ ალმით ვერ მოგვატყუებენ, ხმაურით ვერ შეგვაშინებენ“. (სტალინი. თხზ. კრებ. ტ. 7, გვ. 326).

საბჭოთა კავშირი განუხრელად დგას თავისი ბელადის ამ მითითებათა საფუძველზე, თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს ამ კეთილშობილურ გეზს თავისი ხალხის, თავისი სახელმწიფოს ინტერესებისათვის, ისევე როგორც ყველა ხალხის, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ინტერესებისათვის“.

შემდეგ ა. ი. ვიშინსკი დაწვრილებით შეჩერდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილი საბჭოთა სამშვიდობო წინადადებების საკითხის ისტორიაზე და არსზე.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის ოთხი წლის მანძილზე, თითქმის ოთხი წლის მანძილზე, სსრ კავშირის დელეგაციას თავისი მთავრობის დავალებით უკვე მეოთხედ შემოაქვს თავისი სამშვიდობო წინადადებანი. 1946 წელს სსრ კავშირის დელეგაციამ შემოიტანა თავისი წინადადებანი შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომის ენერგიის სამხედრო მიზნით წარმოებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ. ეს წინადადებანი საფუძვლად დაედო გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის ისტორიულ რეზოლუციას. 1947 წელს სსრ კავშირმა წინადადება შემოიტანა მიღებული ყოფილიყო დადგენილება ახალი ომის ყოველგვარი ფორმის პროპაგანდის დაგმობის შესახებ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომელსაც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის წინადადება. 1948 წელს სსრ კავშირმა წინადადება შემოიტანა მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება ხუთი სახელმწიფოს შეიარაღების ერთი მესამედით შემცირების შესახებ და კვლავ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ამ წინადადებას გააფთრებით შეხვდნენ და უარყვეს. მაგრამ გენერალური ასამბლეის უმრავლესობამ, რომელმაც ეს წინადადება უარყო, ვერ შეძლო ეს წინადადება არქივში გადაეცა. მან, ამ უმრავლესობამ, მიიღო უფერული და უნაყოფო რეზოლუცია, რომელიც იმისათვის იყო გათვალისწინებული, რომ როგორმე შეენიღბა თავისი გადაწყვეტილება—არ მიეღო საბჭოთა პროექტი, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ნამდვილად უზრუნველეყო ატომური იარაღის აკრძალვა და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირება. გენერალური ასამბლეის უმრავლესობამ, დატოვა რა საბჭოთა პროექტის სათაური, უნებლიედ ხაზგასმით აღნიშნა მკვეთრი კონტრასტი ატომური ბომბის აკრძალვისა და შეიარაღების ერთი მესამედით შემცირებისათვის რეალურ ღონისძიებათა მოთხოვნასა და იმ ფუჭ, უშინაარსო რეზოლუციას შორის, რომელიც არაფერს აძლეოდა ამ კეთილშობილური ამოცანის გადასაწყვეტად და რომელიც მიიღო გენერალური ასამბლეის უმრავლესობამ 1948 წლის 19 ნოემბერს.

საჭირო არ არის ხაზგასმით აღინიშნოს იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უდიდესი მნიშვნელობა, რომლებიც დაკავშირებულია თვითეულ ზემოაღნიშნულ წინადადებასთან, რომლებიც საბჭოთა დელეგაციებმა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგაციებმა შემოიტანეს და რომლებსაც ისინი ბოლომდე იცავდნენ.

საბჭოთა კავშირის წინადადება ახალი ომის მზადების დაგმობისა და მშვიდობის განსამტკიცებლად ხუთი სახელმწიფოს პაქტის დადების შესახებ, რომლებიც ამ სესიაზეა შემოტანილი, ლოგიკურად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის 1946, 1947 და 1948 წლების მშვიდობისმოყვარე წინადადებებთან. გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე 23 სექტემბერს თავისი წინადადებანი რომ შეჰქონდა, საბჭოთა მთავრობა მოქმედებდა იმ დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, რაც აკისრია მას, ისევე როგორც უშიშროების საბჭოს დანარჩენ მუდმივ წევრებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მთლიანად, მშვიდობის საქმისათვის, ახალი ომის საფრთხის აღკვეთისათვის, ხალხთა უშიშროებისათვის.

მიუხედავად გენერალური ასამბლეის წარსულ სესიებზე მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა, რომლებითაც დგამობილია ახალი ომის პროპაგანდა ყოველი ფორმით, ასეთი პროპაგანდა არ წყდება. აშკარად წარმოებს ახალი ომის მზადება, რაც გამოიხატება არა მარტო ამ პროპაგანდით, არამედ აგრეთვე გამალებული შეიარაღებით, სამხედრო ბიუჯეტების გადიდებით, მრავალი სამხედრო ბაზის შექმნით, სამხედრო ბლოკების მოწყობით, რომლებიც აგრესიულ მიზნებს ისახავენ. ამრიგად გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს არ ასრულებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები, რომლებიც ამზადებენ ახალ ომს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ინგლის-ამერიკის ბლოკი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბატონობს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სისტემატური დარღვევით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი პოლიტიკით ხელს უწყობდა და უწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტისათვის ძირის გამოთხრას, მის შესუსტებას, არარაობად აქცევს მის მნიშვნელობას საერთაშორისო საქმეებში. ამას დიდად შეუწყო ხელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშმა დარღვევებმა, რაც დაკავშირებული იყო აგრესიული პაქტების დადებასთან და ჩრდილოეთ ატლანტიკის ან ბრიუსელის ბლოკის მსგავსი სამხედრო-აგრესიული ბლოკების შექმნასთან, აგრეთვე ისეთმა ღონისძიებებმა, როგორიცაა „მარშალის გეგმა“.

12 სახელმწიფოს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შექმნამ, რომელიც აგრესიულ მიზნებს ისახავს, ან „მარშალის გეგმის“ საფუძველზე 16 სახელმწიფოს გაერთიანებამ არა თუ ძირი გამოუთხარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტსა და მნიშვნელობას, არამედ იმის საფრთხეც შექმნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაქცეულიყო განყოფილებად სახელმწიფო დეპარტამენტისა, რომლის ბრძანებებსაც, ყოველივეს მიუხედავად, მორჩილად ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმრავლესობა ამერიკისა და ინგლისის დელეგაციათა მეთაურობით.

მივიღეთ ფუნქციების თავისებური გაყოფა: ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი ამზადებს ახალ ომს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის ინგლისელ-ამერიკელი უმრავლესობის სახით ამ შავნელ მუშაობას ფარავს ყალბი დეკლარაციებით მშვიდობის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მის კომიტეტებში, კომისიებში, გენერალური ასამბლეის პლენუმებზე ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლები ტკბილ სიტყვებს აფრქვევენ მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის შესახებ, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ — თავიანთ სამხედრო შტაბებსა და ჩრდილოეთ ატლანტიკის, ბრიუსელის და სხვ. კავშირების კანცელარიებში — ამზადებენ ახალ ომს, სჭედავენ ბორკილებს მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ და სასტიკ ტანჯვასა და დაღუპვას უმზადებენ მათ.

მშვიდობისა და მილიონობით ადამიანთა კეთილდღეობის წინააღმდეგ რეაქციული ძალების ეს საზარელი შეთქმულება უნდა ამხილონ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებებმა, რათა შეაჩერონ ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ხელი, რომელიც აღმართულია მთელი კაცობრიობის, ყველა ხალხის წინააღმდეგ, ხალხებისა, რომლებსაც მშვიდობა სწყურიათ და ომს სწყევლიან“.

„საბჭოთა კავშირის წინადადებათა განხილვის შედეგების შეჯამებისას,—განაგრძო ა. ი. ვიშინსკიმ,—არ შეიძლება არ აღინიშნოს ორი დამახასიათებელი გარემოება. პირველი ის არის, რომ საბჭოთა წინადადებების მოწინააღმდეგეებმა ვერ უარყვეს ვერცერთი კონკრეტული ფაქტი, რომლებიც მოიყვანეს საბჭოთა დელეგაციებმა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგაციებმა თავიანთი მტკიცების დასადასტურებლად, რომ ზოგიერთი ქვეყანა და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, ახალ ომს ამზადებს“.

საბჭოთა წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით ასამბლეას გაახსენა მთელი რიგი უდავო ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ახალი ომის მზადებაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა მონაწილეობას.

უნდა აღინიშნოს, თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, რომ ახალი ომის მზადებაზე მეტყველებენ არამარტო ისეთი ფაქტები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ჯონსონის, გაერთიანებული შტაბების უფროსის გენერალ ბრედლის, ფელდმარშალ მონტგომერის, გენერალ სპაატსის და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მაღალი თანამდებობის მთელი რიგი პირების გულახდილი განცხადებანი, არამედ ის მატერიალურ-ორგანიზაციული სამხედრო ღონისძიებანიც, რომლებსაც ყველას თვალწინ ახორციელებენ და რომელთა დაფარვა საერთოდ არ შეიძლება საზოგადოებრიობისაგან! ბუნებრივია, რომ ასეთი ფაქტების უარყოფა არ შეიძლება და ასეთ, ჩასაფუშავად წინასწარ განწირულ, საქმეს ხელს არ კიდებენ ამ საქმის ყველაზე დახელოვნებული ოსტატებიც კი ამერიკისა და ინგლისის დიპლომატიის რიგებიდან.

მართლაც, რა დაუპირდაპირა ჩვენს მტკიცებებს, მაგალითად, ინგლისის წარმომადგენელმა სახელმწიფო მინისტრმა მაკნეილმა, გარდა ყალბი გაოცების შემცველი კითხვებისა: „განა საბჭოთა დელეგაციას ნამდვილად სჯერა, რომ ჩვენ ვემზადებით აგრესიული ომისათვის? როგორ შეუძლია მას წარმოიდგინოს, რომ ჩვენ ვემზადებით აგრესიული ომისათვის?“ მაგრამ რატომ არ შეუძლიათ მაკნეილსა და მის მეგობრებს წარმოადგინონ თუნდაც ერთი ფაქტი, რომელიც დაამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობა არ მონაწილეობს ახალი ომის მზადებაში?

განა იმ, დაახლოებით 500 სამხედრო ბაზაში, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გარსშემოარტყეს მთელ მსოფლიოს, არ არის ინგლისის ტერიტორიაზე მდებარე ბაზები? განა ფაქტი არ არის, რომ დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე თავმოყრილია 90 ამერიკული ზემძლავრი მფრინავი ციხესიმაგრე „B-29“, რომლებიც დაყოფილია სტრატეგიული ბომბდამშენი ავიაციის რამდენიმე ჯგუფად? განა ინგლისის მთავრობამ ან თუნდაც ინგლისის სახელმწიფო მინისტრმა მაკნეილმა უარყო „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ინგლისის სამხედრო წრეებში იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობა „დათანხმდა“ მიეღო თავის ტერიტორიაზე „B-29“ ტიპის 70 ამერიკული ბომბდამშენი „დახმარების“ სახით, რასაც ინგლისი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან იღებს „მარშალის გეგმით“ და როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრი? განა აქ განმარტეს ამ ბომბდამშენი ავიაციის მიზნები და ამოცანები, განა, როგორც ინგლისის დელეგატებს უყვართ თქმა, პატიოსნად განმარტეს, თუ ვის წინააღმდეგ, რომელი ქვეყნის წინააღმდეგ არის აშენებული ეს ბაზები და მომზადებული ამ ამერიკული ბომბდამშენების ესკადრილიები? არა. ამაზე ინგლისის მთავრობა და მისი სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ესოდენ სიტყვის მოყვარულია და არაფერს სტოვებს ისე, რომ შენიშვნა არ გაუკეთოს ან არ უარყოს, რაც კი მისი მთავრობის მოქმედებას შეეხება, ამჯერად სდუმან, თითქოს პირში წყალი დაუგუბებიათო!

ხოლო საბერძნეთი? ხოლო კვიპროსი, რომელიც გადაქცეულია ინგლის-ამერიკის სტრატეგიულ ბაზად, და სახელდობრ ბაზად საბჭოთა კავშირზე ფიქრებისათვის? შემთხვევით ხომ არ გამოაცხადა ინგლის-ამერიკის პრესამ, რომ კვიპროსი გადაქცეულია „დასაყრდენად საბჭოთა ექსპანსიის წინააღმდეგ“?.

მაკნეილმა კომიტეტში განაცხადა, რომ ინგლისს უნდა ჰქონდეს „ძლიერი პუნქტები, რომელებიდანაც მას შეეძლება დაიცვას ომის შემთხვევაში კომუნიკაციათა თავისი გრძელი საგარეო ხაზები“. რომელი ომის? ვის წინააღმდეგ? როდის? იგი ამტკიცებდა, რომ ინგლისმა ამ დროისათვის თავისი ჯარები გაიყვანა სხვა ქვეყნებში მდებარე თავისი ბაზებიდან. მაგრამ მან არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ როგორ გადავიდა ინგლისის ბაზები ამერიკის შეერთებული შტატების ხელში და როგორ აწყობენ ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ ბაზებს ინგლისის ტერიტორიაზე.

განა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ მიიღეს დიდი ბრიტანეთისაგან ავიაბაზები ნიუფაუნდლენდზე, ბერმუდის კუნძულებზე, ამაღლების, ტრინიდადის, ბაგამის კუნძულებზე? განა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ აამენეს 18 ახალი ბაზა კანადაში? განა მაკნეილს დავიწყდა ისტორია მელახში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზისა, რომელსაც ბრიტანეთის ადმინისტრაცია განაგებს?

ამ ფაქტების მიხედვით ბ-ნ მაკნეილს თავის დაძვრენა ბაზების საკითხში ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში, როგორც უნდა ეცადოს ამას მაკნეილ!

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ბ-ნი ოსტინი იმავე ტაქტიკას მისდევდა: მან არაფერი თქვა იმ ფაქტებზე, რომლებიც ჩვენ მოვიყვანეთ ჩვენი მტკიცების დასასაბუთებლად იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს მთავარი როლი ეკუთვნით ახალი ომის მზადების საქმეში. მან გვერდი აუარა შენიშვნებს გენერალ ბრედლის, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრ ჯონსონის შესახებ, გენერალ ვანდენბერგის შესახებ და სხვ. ცდილობდა რა, ამერიკის დიპლომატიის ჩვეულებრივი ტაქტიკის შესაბამისად, ყურადღება სხვამხრივ წარემართა, ოსტინმა დაიმოწმა მხოლოდ ამერიკის აქტი ურთიერთდახმარების შესახებ, რომლის დანიშნულებაა მხარი დაუჭიროს ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მიზნებს და რომელშიც ნათქვამია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მისაღწევად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით იცავენ ისეთ პოლიტიკას, რომ შეიარაღებული ძალები გამოყენებულ იქნან მხოლოდ და მხოლოდ საერთო ინტერესებისათვის“.

მაგრამ ზოგადი ფრაზებით თავს ვერ დააღწევ ჯიუტ და დამაჯერებელ ფაქტებს, რომლებიც უარყოფენ ამ ფრაზებს! მან განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ითანამშრომლოს ყველა. სახელმწიფოსთან — მან ხაზი გაუსვა ამ სიტყვებს — „ყველა სახელმწიფოსთან“ — კოლექტიური უშიშროების საყოველთაო სისტემის შექმნაში.

მაგრამ განა ამას არ აბათილებს ისეთი ფაქტი, როგორიცაა ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ორგანიზაცია? ოსტინი და მისი მეგობრები კვლავ აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი აგრესიული კი არა, თავდაცვითია. მაგრამ ვისგან იცავს იგი თავის მონაწილეებს? რატომ აბამენ ამ პაქტში საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ირანსა და თურქეთს, თუმცა ისინი, როგორც ცნობილია, სრულიადაც არ არიან ჩრდილოეთ ატლანტიკის ქვეყნები? ბოლოს, რატომ დასჭირდა ირანს სამხედრო დახმარება, რის შესახებაც, როგორც, მაგალითად, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ ა. წ. 18 ნოემბრის ნომერში იუწყება, განაცხადა ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა ირანის შაჰმა, რომელმაც თქვა, რომ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს თხოვს მეტი რაოდენობით მიხცეს მას შეიარაღება?

„ამერიკის დელეგაციამ, — განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა, — წამოიწყო კონტრიერიში პოლიტიკური კომიტეტის წინააღმდეგ, მიზნად დაისახა რა დაემტკიცებინა, რომ სსრ კავშირი უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებს თანამშრომლობის შესახებ და რომ მან, კერძოდ, უარყო ასეთი წინადადება გერმანიის შესახებ. მაგრამ განა ოსტინს არ ახსოვს ისტორია, რომელიც დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი მოსკოველი ელჩის სმიტის განცხადებასთან საუბარში ვ. მ. მოლოტოვთან 1948 წლის 4 მაისს იმის შესახებ, რომ „რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, კარი ყოველთვის ღია რჩება ჩვენი უთანხმოების ამომწურავი განხილვისა და მოწესრიგებისათვის“, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ სასწრაფოდ უარყო, როგორც კი საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მხოლოდ მიესალმება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებას და იმედს გამოთქვამს, რომ შესაძლებელია გამოინახოს არსებული უთანხმოების აღმოფხვრის საშუალებანი და დამყარდეს ჩვენს ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობა, რაც შეესაბამება როგორც ჩვენი ხალხის ინტერესებს, ისე მშვიდობის განმტკიცების საქმეს. მაგრამ ვინ თქვა უარი ამ თანამშრომლობაზე? საჭიროა აქვე გავიხსენოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ასეთი უარის მნიშვნელობის გასაძლიერებლად ბ-ნმა ბევინმაც სასწრაფოდ განაცხადა, რომ იგი არ ისწრაფვის მონაწილეობა მიიღოს ახალ კონფერენციაში, „სანამ ნიადაგი არ იქნება გაწმენდილი“. თუ როგორ „სწმენდენ ნიადაგს“ ბ-ნი ბევინი და მისი თანაშემწე ბ-ნი მაკნეილი სსრ კავშირთან თანამშრომლობისათვის, ჩვენ ეს დავინახეთ მათი გამოსვლებით, მაგალითად, ამ სესიაზე, და არა მარტო სესიაზე...

ბ-ნმა ოსტინმა პოლიტიკურ კომიტეტში გამოსვლის დროს ასევე დამახასიათებელი სახით წარმოგვიდგინა გერმანიის საკითხში „თანამშრომლობის“ საქმეც. მან დაამახინჯა გარემოებანი, რომლებიც დაკავშირებულია ბირნსისა და მარშალის უბადაღებულ წინადადებებთან გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ეგრეთ წოდებული გარანტიების შესახებ 25 და 40 წლითაც კი! მაგრამ რა „გარანტიები“ იყო ეს გარანტიები? ბირნსისა და მარშალის წინადადებებში ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა გერმანიის დენაციფიკაცია და დემოკრატიზაცია, როგორიცაა რურისადმი სსრ კავშირის მონაწილეობით საერთაშორისო კონტროლის დაწესება, როგორიცაა გერმანიის კონცერნების, კარტელების, სინდიკატების, ტრესტებისა და მათთვის კონტროლის გამწევი იმ საბანკო მონოპოლიების ლიკვიდაცია, რომლებიც გერმანიის აგრესიის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები იყვნენ, როგორიცაა გერმანიის დემილიტარიზაცია, როგორიცაა ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრა, როგორიცაა დემოკრატიული წესწყობილების დამყარება, როგორიცაა მიწის რეფორმის განხორციელება, რათა გლეხებს გადაეცეს ძსხვილ მიწათმფლობელ-იუნკერთა მიწა და სხვ. და სხვ... ბ-ნმა ოსტინმა ამჯობინა დუმილით აევლო გვერდი ყოველივე ამისათვის, ვინაიდან ეს საკვლევთ გაგებათილებდა მის განცხადებას, რომ სსრ კავშირს თითქოს არა სურს ითანამშრომლოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან გერმანიის საკითხის მოწესრიგებაში. ოსტინმა, ბუნებრივია, არაფერი თქვა იმაზეც, რომ, წინაღმდეგ 1949 წლის ივნისში პარიზში მიღწეული შეთანხმებისა — განგვეგრძო ღონისძიებანი გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღსადგენად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა დაამთავრეს გერმანიის გათიშვა, შექმნეს ბონის მარიონეტული ანტიხალხური მთავრობა, რომელიც, მართალია, უკვე მთლად ირღვევა.

არა, სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი წრეები ფუშავენ საერთაშორისო თანამშრომლობას, რისთვისაც სარგებლობენ ყოველგვარი შესაძლებლობით, ყოველგვარი საბაბით. ხალხთა შორის თანამშრომლობა ამ წრეებს ხელს უშლის მსოფლიო ბატონობის ამერიკული გეგმის განხორციელებაში. სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკა ხელსაყრელი არ არის მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტებისათვის, რომლებიც ოცნებობენ ამერიკის კოლონიებად გადააქციონ სხვა სახელმწიფოები, მონებად გახადონ სუვერენული ხალხები.

მაგრამ ასეთი გეგმების განხორციელებას ეღობება გადაულახავი დაბრკოლება მშვიდობისათვის ხალხთა ძლავრი მოძრაობის სახით, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი, ხალხთა უშიშროების ერთგული გუშაგი, ომის თანმიმდევარი და მტკიცე მტერი, მშვიდობის მეგობარი და დამცველი!“.

აღნიშნა რა შემდეგ, რომ პოლიტიკურ კომიტეტში სცადეს დაემახინჯებინათ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპები, თავისებურებანი და არსი, ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ ყალბად და ცილისმწამებლურად დახატვა საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა მთლიანად ჩაიფუშა. საბჭოთა წარმომადგენელი ერთხელ კიდევ მოკლედ შეჩერდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპების, ხასიათისა და თავისებურებების საკითხზე, როგორც ეს პოლიტიკა ჩამოყალიბდა და მოქმედებს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნიდან ჩვენს დრომდე.

იგი განსაკუთრებით შეჩერდა მშვიდობის საბჭოთა პოლიტიკაზე მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში.

„1936-1938 წლებში, — თქვა ა. ი. ვიშინსკიმ,—სრულიად ცხადი იყო, რომ ევროპა იდგა ომის დაწყების წინ, რომ ჰიტლერი ამზადებდა დიდ ომს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პირდაპირი წაყრუებით.

საბჭოთა კავშირის პოზიცია იმ დროსაც უცვლელი იყო. ახორციელებდა რა მშვიდობის პოლიტიკას და ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საბჭოთა მთავრობა ენერგიულად ილაშქრებდა მიუნხენის გმცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც კარი გაუღო ჰიტლერულ აგრესიას. საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც შეინარჩუნა ერთგულება ჩეხოსლოვაკიის მიმართ საერთაშორისო ვალდებულებებისადმი. მოახლოებული ჰიტლერული აგრესიის წინაშე საბჭოთა კავშირს არაერთგზის მიუცია წინადადება დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის — დაედოთ შეთანხმება, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ თანამეზობლისა თავდასხმისათვის, რომელიც მზადდებოდა.

მთელმა შემდგომმა ამბებმა სავსებით დაადასტურეს, რომ საფუძვლიანი იყო გაფრთხილება, რომელსაც საბჭოთა კავშირი იძლეოდა მეორე მსოფლიო ომის წინ.

საბჭოთა პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის წინაც იგივე სამშვიდობო პოლიტიკა იყო. ამას მოწმობენ მთელი შემდგომი ამბები, კერძოდ, საბჭოთა კავშირის პოზიცია მოსკოვში 1939 წლის მარტ-მაისში გამართულ მოლაპარაკებაში ჰიტლერული აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შესახებ. როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა შეთანხმების მისაღწევად, მოლაპარაკება ჩაიშალა იმ მიზეზით, რომ, როგორც ლოიდ-ჯორჯმა აშკარად აღიარა, „ნევილ ჩემბერლენს, ჰალიფაქსს და ჯონ საიმონს რუსეთთან არავითარი შეთანხმება არა სურდათ“.

მოვლენათა მსვლელობის სწორი გაგებისათვის უნდა გავიხსენოთ, რომ ბეკის პოლონელმა, რომელსაც მოკავშირეებად ჰყავდა ინგლისი და საფრანგეთი, გერმანელებთან 1934 წელს დადო პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ და რომ თვით ინგლისმა და საფრანგეთმა 1938 წელს გამოაქვეყნეს გერმანიასთან ერთობლივი დეკლარაცია თავდაუსხმელობის შესახებ, ე. ი. არსებითად ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის პაქტს, თუმცა მას დეკლარაცია უწოდეს.

აგრეთვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჯერ კიდევ 1938 წელს წარმოებდა სავაჭრო მოლაპარაკება გერმანიასთან, მაგრამ იმ დროს ამ მოლაპარაკებამ დადებითი შედეგი არ გამოიღო. ეს მოლაპარაკება განახლდა 1939 წლის ივლისში და 1939 წლის 19 აგვისტოს დამთავრდა სავაჭრო-საკრედიტო შეთანხმების ხელმოწერით. იმავე 1939 წლის ზაფხულში გერმანელებმა წინადადება მისცეს საბჭოთა მთავრობას თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ. ამ დროისათვის უკვე ცხადი იყო, რომ არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ აპირებდნენ შეთანხმება დაედოთ სსრ კავშირთან და რომ, პირიქით, ჩემბერლენ-ჰალიდიეს პოლიტიკა ცდილობდა აღმოსავლეთისაკენ წარემართა ჰიტლერული აგრესია ცოტა ხნის წინათ „გარანტირებული“ პოლონეთის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაედო გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტი. ეს იყო ბრძნული და შორსმჭვრეტელური ნაბიჯი, ვინაიდან მან წინასწარ განსაზღვრა სსრ კავშირისა და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის ხელსაყრელად დამთავრება მეორე მსოფლიო ომისა. ეს იყო იმის რწმენით ნაკარნახევი ნაბიჯი, რომ ჰიტლერელები ამზადებდნენ სსრ კავშირზე თავდასხმას და რომ საჭირო იყო დროის მოგება თავხედი აგრესორისათვის წინააღმდეგობის გაწევის მოსამზადებლად. ეს წინასწარგანდეა სავსებით გამართლდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ, ამზადებდა რა სსრ კავშირზე თავდასხმას, ჰიტლერული მთავრობა ცდილობდა მეიჩქმალა თავისი ეს აგრესიული ზრახვები თავხედური კამპანიით, კომუნიზმის წინააღმდეგ ნამდვილი ლაშქრობით.

1941 წლის 13 აპრილს იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მოსკოვში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ მაცუოკას ყოფნის დროს წარმოებდა, ხელმოწერილ იქნა პაქტი საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ნეიტრალიტეტის შესახებ, აგრეთვე დეკლარაცია ურთიერთ პატივისცემის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და მანჯოუ-გოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელუხლებლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე წინადადებათა წინააღმდეგ ლაშქრობას ჩქმალავენ არსებითად იმავე პოზიციებიდან დაშენით, როგორც ეს იყო მეორე მსოფლიო ომის წინაპერიოდში, ოთხთა პაქტის, კელოგის პაქტისა და მიუნხენის შეთანხმებათა პერიოდში. ჩაღდება კომუნიზმისა და „კომუნისტების“ უპრეცედენტო დევნა, ამასთან კომუნისტებად თვლიან ყოველ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, ყველას, ვინც პროგრესული დემოკრატიული შეხედულებისაა. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ცდილობენ „კომუნიზმის წინააღმდეგ“ ლაშქრობით, როგორც ამას თავის დროზე ჰიტლერელები სჩადიოდნენ, მიჩქმალონ ლაშქრობა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, რომ ეს ლაშქრობა წარმოადგენს ახალი

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული

ტების დიდ მნიშვნელობას. ეს რეზოლუცია შეიცავს მთელ რიგ პუნქტებს, რომლებიც იმეორებენ წესდების ცალკე დებულებებს, არაფერს არ უმატებენ მათ, რაც ისახავს ერთადერთ მიზანს—შენიღბოს ამ რეზოლუციის სხვა პუნქტები იმ ვარაუდით, რომ დააჯანონოს ინგლის-ამერიკის ბლოკის მიერ წესდების სისტემატური დარღვევა.

სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი სხვა გზით მიდის.

საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა დაგმობილ იქნას ომის მზადება, რომელიც გამოიხატება ომის პროპაგანდით, რასაც აქეზებენ მთელი რიგი ქვეყნების და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობანი, გამოიხატება გამალებული შეიარაღებით, სამხედრო ბიუჯეტების გაბერვით, რაც მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას, სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე მრავალი სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზის შექმნით, იმ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკების მოწყობით, რომლებიც ისახავენ აგრესიული მიზნებს მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ქვეყნების მიმართ, გამოიხატება აგრესიული მიზნებისთვის სხვა ღონისძიებათა განხორციელებით. ჩვენ მოვიყვანეთ მრავალი ფაქტი, რომლებმაც მთლიანად დაადასტურეს ჩვენი მტკიცების სისწორე. ეს ფაქტები გაუბათილებელია, ვინაიდან მათი გაბათილება არც შეიძლება. ყველა ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში და პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მართლაც წარმოებს ახალი ომის მზადება".

„ამ დღეებში,—აღნიშნა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა,—კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ლენდგრანტის იმ ასოციაციის დელეგატების კრებაზე, რომელსაც თავისი 63-ე წლიური ყრილობა ჰქონდა, ერთ-ერთი ორატორი, გენერალი, ამტკიცებდა, რომ „მტრის ქვეყნის ნეიტრალიზება საჰაერო ძლიერების გზით წარმოადგენს უდიდეს იარაღს დემოკრატიისას, რომელიც მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნავს". იგი ამტკიცებდა, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ამოცანაა „ბლოკირება და შიმშილით დახოცვა" და რომ „ერთადერთი შესაძლებელი" სამხედრო მოწინააღმდეგისადმი, რომელსაც ძლიერი სახმელეთო არმია ჰყავს, „ერთადერთ ეფექტიან საშუალებას" წარმოადგენს „სტრატეგიული დაბომბვა!".

მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ გამოჩნდა კიდევ ერთი გიჟი ომის გამჩაღებელი. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მას უსმენს კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მთელი ასოციაცია! რა ხდება ჩვენს თვალწინ? თურმე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ფლოტისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელები ერთმანეთს წაეჩხუბნენ იმაზე დავის დროს, თუ რომელი ხერხი სჯობს საბჭოთა ადამიანებისა და საბჭოთა ქალაქების ყველაზე მეტი რაოდენობის მოსასპობად. ეკონომისტები ანგარიშობენ იმ მოგებას, რომელიც ომმა უნდა მოუტანოს ამერიკის შეერთებული შტატების „საქმიან" წრეებს და პირდაპირ აცხადებენ, რომ სწორედ ომი შეამსუბუქებს ამერიკის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას, რომელიც სულ უფრო გრძნობს მოახლოებული კრიზისის დარტყმის ძალას!"

ა. ი. ვიშინსკიმ მოიყვანა მთელი რიგი ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მზადებას, და შემდეგ განაცხადა:

„აი რატომ შემოაქვს საბჭოთა კავშირს თავისი რეზოლუცია ასეთი პოლიტიკის, ახალი ომის მზადების პოლიტიკის დასაგმობად, აი რატომ შემოაქვს საბჭოთა კავშირს წინადადება, მსგავსად იმისა, როგორც ცივილიზებულმა ერებმა უკვე დიდი ხანია დაგმეს როგორც უაღრესად მძიმე დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ სამხედრო მიზნებით მომზამდელი გაზებისა და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენება, აღიარებულ იქნას ხალხთა სიხდისისა და ღირსების საწინააღმდეგოდ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი კუთვნილებასთან შეუთავსებლად ატომური იარაღისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა გამოყენება და შეუწყნარებლად მიჩნეულ იქნას შემდგომი გაჭიანურება გაერთიანებული ერების მიერ ატომური იარაღის უთუო აკრძალვისა და სათანადო მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესების პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღების საქმეში.

საბჭოთა დელეგაციის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის დაჟინებით გენერალური ასამბლეის მიერ ამა წლის 23 ნოემბერს მიღებული რეზოლუცია ატომის საკითხზე, ისე როგორც 1948 წლის 4 ნოემბრის რეზოლუცია, სრულიადაც არ უწყობს ხელს ატომური იარაღის უთუო აკრძალვისა და სამხედრო მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენებისადმი კონტროლის დაწესების პრობლემის გადაჭრას. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ, მხოლოდ ატომური იარაღის უთუო აკრძალვა და ატომური იარაღის წარმოებისა და სამხედრო მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესება ხელს შეუწყობს მარტო სამშვიდობო მიზნებისათვის ატომის ენერგიის გამოყენების დაჩქარებას.

უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია ყურადღებით გაეცნო ატომის ენერგიის კომისიის ექვსი მუდმივი წევრისადმი გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის ბ-ნ რომულოს მიერ გაგზავნილ მიმართვას. საბჭოთა დელეგაცია დიდად აფასებს ბ-ნ რომულოს მისწრაფებას — გენერალური ასამბლეის და ყველა სახელმწიფოს ყურადღება მიაქციოს იმას, რომ საჭიროა გადაწყდეს საკითხი ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ, და აუცილებლად მეაჩნია განაცხადოს, რომ იგი ეთანხმება იმას, რომ საჭიროა განგრძობილ იქნას შეთანხმების ძებნა ამ საკითხში, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის. შეუწყნარებელია შემდგომი გაჭიანურება გაერთიანებული ერების მიერ პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღებაში — მეხაზგასმით აღვნიშნავ: **პრაქტიკულ ღონისძიებათა** მიღებაში — ატომური იარაღის უთუო აკრძალვისა და სათანადო მკაცრი კონტროლის დასაწესებლად. არავითარი გაჭიანურება! ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ გაჭიანურებას ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. რეზოლუციის საბჭოთა პროექტი სწორედ ამის წინადადებას იძლევა. იგი წინადადებას იძლევა, რომ თქვენ, გენერალურმა ასამბლეამ, მსოფლიოს ამ საერთაშორისო ფორუმმა, თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვას და ატომის ენერგიის კომისიას ურჩიოს: შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა განხორციელდეს ატომური იარაღის უთუო აკრძალვა, დაწესდეს მკაცრი ეფექტიანი კონტროლი ამ აკრძალვის შესრულებისადმი.

საბჭოთა დელეგაცია ამას მტკიცედ მოითხოვს ახლა, მტკიცედ მოითხოვს ამას შემდეგაც.

რეზოლუციის საბჭოთა კავშირის პროექტი შეიცავს მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიმართოს ყველა სახელმწიფოს მოწოდებით — თავისი დავა და უთანხმოებანი გადაწყვიტონ მშვიდობიანი საშუალებით და არ მიმართონ ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას. ეს წინადადება უარყო ინგლის-ამერიკის უმრავლესობამ.

საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა — გამოითქვას სურვილი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, ჩინეთმა, საფრანგეთმა და საბჭოთა კავშირმა ურთიერთშორის დადონ პაქტი მშვიდობის განსამტკიცებლად, გაერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ხალხთა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად, რისთვისაც პასუხისმგებლობა აკისრია ამ ხუთ სახელმწიფოს — უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს.

ამ წინადადებამ პოლიტიკურ კომიტეტში — ცხადია, ეს აქაც გამეორდება — გამოიწვია მთელი რიგი დელეგაციების წინააღმდეგობა და აგრეთვე უარყოფილ იქნა, თითქოს საქმე ეხებოდა არა პაქტს მშვიდობის განსამტკიცებლად, არამედ ომის გამოცხადებას!

მაგრამ ამ წინადადების წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებანი გვაოცებენ თავისი ხელოვნურობითა და სისუსტით.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ ასეთი პაქტი საჭირო არ არის, იმიტომ რომ არსებობს წესდება — „მშვიდობის ყველაზე საზეიმო პაქტი". მაგრამ წესდებამ როდი შეუშალა ხელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ხუთ სახელმწიფოს დაედოთ ბრიუსელის პაქტი!

მაგრამ წესდებამ როდი შეუშალა ხელი გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოთა ჯგუფს დაედოთ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი! მაშ ახლა რატომ უშლის წესდება ხელს იმას, რომ დაიდოს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ ხუთ სახელმწიფოს შორის პაქტი?

ცხადია, რომ ეს უბრალო მომიზეზებაა.

ჩვენ გვეუბნებიან, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმე გაერთიანებული ერების ყველა წევრის და არა მარტო უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების საქმეაო!

მაგრამ ცნობილია უშიშროების საბჭოს სწორედ ხუთი მუდმივი წევრის როლი და მნიშვნელობა ყველა საერთაშორისო საქმის გადაჭრაში, ცნობილია მათი ხვედრითი წონა, მათი ავტორიტეტი, მათი გავლენა. განა ცხადი არის, რომ ამ ხუთ სახელმწიფოს შორის დადებული პაქტი, რომელიც ამოფხვრიდა ომის საფრთხეს, იხსნიდა მსოფლიოს გაბერილი სამხედრო ბიუჯეტების, გამალებული შეიარაღების ტვირთისაგან და სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობაში ამასთან დაკავშირებული ყველა უარყოფითი მოვლენისაგან. ასეთი პაქტი იქნებოდა საყოველთაო ნდობის ძლიერი საფუძველი, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საფუძველი!

ცხადია, რომ უსაფუძვლოა ზემოაღნიშნული მოსაზრებაც, რომელიც წამოყენებულია ხუთი სახელმწიფოს პაქტის შესახებ წინადადების წინააღმდეგ. ეს უბრალო მომიზეზებაა.

ჩვენ გვეუბნებიან, ასეთი პაქტი ყველა უთანხმოებას ვერ მოსპობდა და, მაშასადამე, იგი ზედმეტიაო.

მაგრამ არავითარ პაქტს თავისთავად არ შეუძლია უზრუნველყოს ყველა ან თუნდაც ზოგიერთი მნიშვნელოვანი უთანხმოების დაუყოვნებლივ მოსპობა. მაგრამ ასეთ პაქტს შეუძლია უზრუნველყოს უთანხმოების მოსპობა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ მხარეები სათანადოდ მოეკიდებიან ვალდებულებებს, რომლებიც მათ ასეთი პაქტის შესაბამისად უნდა იკისრონ. ცხადია, ასეთ პაქტს შეუძლია მეტად დადებითი როლი შეასრულოს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის სტაბილიზაციაში.

ცხადია, ვერც ეს მოსაზრება უძლებს კრიტიკას. ესეც უბრალო მომიზეზებაა.

შეიძლება ასეთი მომიზეზება ბევრი მოვიგონოთ. ამას სჩადის და კვლავაც ჩაიდენს მშვიდობის ყველა მტერი, ახალი ომების ყველა წამომწყები, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

მაგრამ ეს ვერ შეაჩერებს მშვიდობისათვის მებრძოლთ მათს კეთილშობილურ ბრძოლაში და ვერც უნდა შეაჩეროს. მათ მხარს უჭერენ მილიონობით პატიოსანი და თავდადებული ადამიანები. ხვალ ისინი მეტნი იქნებიან, ვიდრე დღეს არიან. ბრძოლა მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ გაგრძელდება და ამ ბრძოლაში ისინი გაიმარჯვებენ, ვისაც სძულს ომი, ვინც მშვიდობას მოითხოვს.

ასეულ მილიონობით ადამიანთა ძლევამოსილი მოძრაობა მშვიდობისათვის, ხალხთა მოძრაობა გადალახავს ყველა დაბრკოლებას თავის გზაზე. ეს ურყევი ძალაა, რომელიც გაიმარჯვებს, რომელიც კაცობრიობას იხსნის ომებისაგან, უზრუნველყოფს მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

საყოველთაო გაფიცვა იტალიაში

რომი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გამოშვეული პროფკავშირული ორგანიზაციების „იტალიის მშრომელთა საყოველთაო თავისუფალი კონფედერაციის" და „იტალიის შრომის ფედერაციის" ხელმძღვანელმა ორგანოებმა უარი თქვეს მხარი დაუჭირონ საყოველთაო გაფიცვას 1 დეკემბერს, რომელიც იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ გამოაცხადა, და თავის მომხრეებს მოუწოდეს შტრაიკბრეხერობისაკენ. მაგრამ ბევრმა მშრომელმა და ამ პროფკავშირთა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, გაფიცვას ვემხრობითო.

რომი, 1 დეკემბერი. (საკდესი). რომში მიღებული ცნობებით, ქალაქ ტორემაჯორეში პოლიციის მიერ მშრომელთა აწოყების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოცხადებული საყოველთაო გაფიცვა დღეს დილიდანვე მოედო მთელ იტალიას. მთლიანად შეწყდა დიდ სამრეწველო საწარმოთა მუშაობა. რომში მუშაობა შეწყვიტეს ფაბრიკა-ქარხნებმა, სახელოსნოებმა, საქალაქო ტრანსპორტმა. მთავრობის დაწესებულებანი და სამინისტროები ნაწილობრივად მუშაობენ. თავის ადგილებზე დარჩნენ ძველი ფაშისტური ბიუროკრატიის წარმომადგენლები და ზოგიერთი პირი გამთიშველი „პროფკავშირების" წევრთაგან და სახელმწიფო მოსამსახურეთაგან.

სამინისტროები იძულებული გახდნენ საკუთარი საშუალებით მოეწყოთ დედაქალაქში იმ სახელმწიფო მოსამსახურეთა გადაყვან-გადმოყვანა, რომლებიც სამუშაოზე გამოცხადდნენ. მთელ ქალაქს გაძლიერებით იცავს პოლიცია.

ტრამვაის სამმართველომ პოლიციელთა და იმ ფაშისტთა დახმარებით, რომლებიც თავის დროზე სამსახურიდან დაითხოვეს წმენდის შედეგად, სამუშაოდ გამოუშვეს რომის ტრამვაის პარკის 20 პროცენტამდე ვაგონი. ყოველ ვაგონს თან ახლავს პოლიციის პატრული. ავტობუსები და ტაქსები ქუჩებში აღარ ჩანან. პოლიცია, რომელიც ქალაქს პატრულობს, ვაჭრებს უკრძალავს მაღაზიების დახურვას და ემუქრება ვაჭრობის უფლების ლიცენზიის წართმევას. რადიომ მუშაობა შეწყვიტა 11-დან 13 საათამდე. კინოები დახურულია 18 საათამდე.

ყველა დღის გაზეთთა შორის გამოვიდა მხოლოდ „ჯორნალე დელა სერა".

მთავრობის ხელისუფლებამ ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ ეჩვენებინათ გაფიცვის „წარუმატებლობა". მილანში, როგორც ანსას სააგენტო აღიარებს, სრულიად პარალიზებულია საქალაქო ტრანსპორტი და არ მოქმედებს არც ერთი სამრეწველო საწარმო. ქალაქის ქუჩები სავსეა ქვეითად მოსიარულეებით. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეციალურ კომუნიკეში ამტკიცებს, რომ „გამოცხადებულ გაფიცვას ცხოვრების ნორმალური მსვლელობა არ დაურღვევია".

რომში შეიკრიბა მინისტრთა საბჭო, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრმა შელბამ გაუკეთა მოხსენება ტორემაჯორეში მომხდარი ამბების შესახებ. გაზეთი „მეს